№04-20 12ივნისი 2025 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32 საკ.კოდი 01.19.36.014.422 პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესახებ.

ქ. თბილისი ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32 საკ.კოდი 01.19.36.014.422 საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ასაშენებელი შენობების გაანგარიშების სასრულ ელემენტთა სივრცული მოდელით, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები და პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია მ.ეფრემიძე და ნ. ხუციშვილის მიერ. ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 (A=0.17) ბალიან ზონას. გრუნტის სეზონური გაყინვის სიღრმე 0,00 სმ. ქარის ნორმატიული დაწნევა - 85 კგძ/სმ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/სმ^2

პროექტით გათვალისწინებულია ჩვიდმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.ერთი მიწისქვეშაა სართულით. რომელიც გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში 43.9x40.85მ;

შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან სისტემის სახით. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთები ცვალებადია სართულების მიხედვით, bxh=140x40; bxh=110x40; bxh=120x40; bxh=100;x40; bxh=80x40; bxh=60x40; 40x40; სმ; გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის რიგელიანი ფილა, ფილის სისქე 18 სმ; 22 სმ. რიგელების განივკვეთი bxh=40x60; 25x60; 20x60; სმ; მონოლითური კედლებისა და დიაფრაგმების სისქე არის 25სმ; 20სმ. კიბეები არის მონოლითური. დაკორქტირდა პანდუსი მაგრამ ამან არ იმოქმედა კონსტრუქციულ კარკასზე.პანდუსის კედლები სისქით არის 30სმ. ხოლო ფეხის სისქე 40სმ. და სიგანე 220სმ და 120სმ.დაკორექტირდა ანგარიშის შესაბამისად საძირკველში არმატურის დიამეტრი და ბიჯი. ეს ცვლილება შესაბამისობაშია კონსტრუქციასთან და მისაღებია. ასევე ბეტონის კლასი კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი „B.-30” და. „B.-25” ხოლო არმატურის კლასი A500C, AC-I. შენობის პერიმეტრზე ჩარჩოებს შორის ნაწილში, რომელიც ივსება წყობით, გამოყენებულია საკედლე ბლოკი სისქით 30 სმ.დაკორქტირდა საძირკვლის ფილაში საკიდების განაწილება. შეიცვალა ბიჯი და დიამეტრი საკიდების განაწილების გარკვეულ ზონაში. ეს ცვლილება შესაბამისობაშია კონსტრუქციასთან და მისაღებია.

შენობის საძირკველი წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის ფილას. საძირკვლის ფილის სისქე h=130 სმ; h=60 სმ. საძირკვლის ფილის ქვეშ ეწყობა 10 სმ. სისქის ბეტონის მომზადება კლასით „B.-15”. შენობის დაფუძნება მდინარის ხვინჭის ბალიშის საშუალებით ხდება თიხაზე.

E = 200 კგძ/სმ². R_0=3.5 კგძ/სმ². შინაგანი ხახუნის კუთხე Φ=39°. ხვედრითი შეჭიდულობა C=24 კპა.

შენობის გაანგარიშება შესრულებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსის "Лира-САПР -2013"*(ვერსია R3)* -ის საშუალებით, სამშენებლო ნორმები და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01.-09)" გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა ჰორიზონტალური მიმართულებით გათვალისწინებულია დრეკადი ბმების გათვალისწინებით. შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისთვის მისაღები სიზუსტით სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს.

უნდა აღინიშნოს საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის დამახასიათებელი სქემები, კვანძები და კვეთები, მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

<u>დასკვნა:</u>

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისი ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32 საკ.კოდი 01.19.36.014.422
მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი:

ინჟინერ კონსტრუქტორი: მ. საჯაია

E-mail matesajaia@gmail.com

Mob. 555 58 60 85

12.06.2025 წ.